ორშაბათი, 1 მარტი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 ორშაბათი, 1 მარტი 1904 წ.

გაზეთის ფასი:
12 თვით . . 10 მ. — კ.
11 ,, . . 9 ,, 50 ,,
10 ,, . . 8 ,, 75 ,,
9 ,, . . 8 ,, — ,,
8 ,, . . 7 ,, 25 ,,
7 ,, . . 6 ,, 50 ,,
6 ,, . . 6 ,, — ,,
5 ,, . . 5 ,, 50 ,,
4 ,, . . 4 ,, 75 ,,
3 ,, . . 3 ,, 50 ,,
2 ,, . . 2 ,, 75 ,,
1 ,, . . 1 ,, 50 ,,

ივერია

№ 54 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 54

ფლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის წესი
1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს— 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს— 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს— 2 მ.
ვინც ამ ვადაზედ ფული არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

ხვალიდან მარტიდგან წლის დამლევამდე გასული „ივერია“ ღირს 8 მან. 75 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალატი

დრამა-ლეგენდა ო-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა
გამოცემა ივერიის ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ამ პიესის წარმოდგენა მთავრობისგან ნება-დაურთველად სცენებზედ წესდების 1864 წლისა ძალით აღკვეთილია.

რაიონაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ დეკემბრიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

რაიონაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

იჯარით აგვიღია

და სრულად ახლად მოვაწყვე იარიღით და მომუშავე ხალხით.
ფოტოგრაფია შეისრულებს შემდეგს საქმეებს:
1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუყვანს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად აგრეთვე (ფერადებით) საუცხოდ დახატული.
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.
ყოველ შეკვეთილ საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.
მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.
პატივის ცემით მოიჯარადრე მატარი ტარასი სამონაძე მეშამფეთქალე.

რედაქციისაგან

ჩვენ მოგვივიდა რამდენისაგანმე საჩივარი, რომ „ლალატი“, პრემია „ივერიისა“, არ მოგვივიდაო. რედაქციამ-კი ყველას, ვისაც ჯერ იყო, გაუგზავნა. ვთხოვთ იმათ, ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, მოიკითხოს ფოსტის მახლობელ კანტორაში. საჭირო იქნება მხოლოდ რამდენისამე კაპიკის დამატება ფოსტის სასარგებლოდ.

ეკიმთა, ადგოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.

„ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამ თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, ვისსებს რა გაზეთი „ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ, - დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ ხუთი მანეთი (5 მან.).

იმპერიის საგუბერნიო სათავად-აზნაური საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მიენდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავსჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ვ. ე. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობა-მოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურთა საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰხრუნავს ახლა, მოამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსელნთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ავანე სულხანის-ძის წულუკიძის თავსჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: თ-დი დავით გ. ჯანდიერი, გენერალ-მაიორი ქრ. ა. მამაცაშვილი, გ. ს. განძაელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავსჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავსჯდომარე კომიტეტისა, თ. ავანე სულხანის-ძე წულუკიძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით ქ. კეირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. დ. გ. ჯანდიერი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა ქ. კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

ბენერალ-მაიორი ქრ. ა. მამაცაშვილი მიიღებს ყოველ დღე 10 3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძაელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1 - 2 საათამდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლგის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1 - 2 საათამდე.
(30—ნ.—4).

გამგეობა ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა ამით აცნობებს ბ-ნთ წევრთ, რომ ოთხშაბათს, 31 მარტს ამა 1904 წლისას, დილის ათ საათზედ, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო წლიური კრება წევრებისა.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციებზედ წარსულის 1903 წლის განმავლობაში.

2) ხარჯთ-აღრიცხვა ამა მდგომარე 1904 წლისა.

3) არჩევნები გამავალთა სამაგიეროდ საბჭოს ორის დეპუტატები სა, გამგეობის ერთის წევრისა, წლიურის ანგარიშების შემმოწმებელ კომისიისა, სამის წევრისა ქ სამის ამათის კანდიდატებისა, წესდების მე-44, 53 და 70 პარაგრაფების თანახმად.

წესდების § 37 ძალით, თითოულ საზოგადოების წევრთაგანს შეუძლიან იქონიოს მხოლოდ ორი ხმა, ერთი თვისი და მეორე ვექილობის ძალით.

ხმის უფლება გადაეცემა საზოგადოების გამგეობის სახელზედ შემოტანილი უბრალო წერილის ძალით, კრებამდის სამი დღით წინ.

ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე
ვრცა დეკანოძე.
დირექტორი ნესტორ ქდაძე.
(3—ნ.—3)

იოსებ იმედაშვილისაგან დაშოკებულ მაზუთის გამო, «ცხოვრების სარკის» (ბეისების კრებულის) მე-III ნაწილის ბეჭდვა შეჩერებულია; დროებით შეჩერებულია აგრეთვე «უცხო სიტყვათა ლექსიკონის» ბეჭდვაც. წიგნის ბეჭდვა თავის დროზე დაუყოვნებლივ განახლდება და სჩქარად დამთავრდება. ყინც «ცხოვრების სარკეს» ეხლავე დაიგეთის, მანეთად დაეთმობა, მერე-კი მეტ ღირებულ.

Книжный магазинъ, Тергіевская ул., домъ Арджеванидзе.
Анне Николаевне Имедашвили.
ანნა იმედაშვილისა.
(5—უ.—4)

გამოვიდა და ისყიდება „წეროკა-ვინვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.

ბეკოსის
ფასი 1 მანეთი.

ქართველი მკურნალნი:

ბედევანიშვილი მიხეილ,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სიდამის 6—7 სააათმდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ვლისაბეთის ქუჩა. სახლი მიდროვის. № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოსკუნის ქუჩა, № 19.

ვაზაძე სპირიდონ. ჰეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—შაჰელდოვის პროსპექტი, № 123.

ექიმი
ვ. დ. ლაბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათმდე.
ნიკოდიმოსის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკაია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიბეგლის ქუჩიდგან-კი № 34.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიბუტაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.
ა. ნ. დიასამიძე. 11 —12 საათ.
ნ. ტ. გულიანი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.
ა. გ. გაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
ვ. დ. ლაბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.
ლ. ვ. ფოსენი. ქალის., სამებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების- და ელექტროთერაპია 12—1 ს.
ექიმი ქალი მ. კ. იოსელიანი—ქალისა და სამებისა 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.
გრ. ვ. სოლოლუვსკი—დოსტატრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პირსკეოპიით და შაბათობით 1—2 საათ.
ვ. ი. ბანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის ცაცა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.
ნინეკა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდგი. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.
(ნ.)
46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკაიაში, ვორონცოვის ძველის პირდაპირ) ავადმყოფნი იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დ ი ლ ა ს ა თ:

ჟ. მ. ჩიტოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. ბ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—ყანისა, ვენერიულ და ბირურგიულ ვადმყოფობისა.
ი. ბაბანასკოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი. 12 —1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
მ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო თ ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომაშვილი. 5—6 ს. ბირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია
მ. ს. ლეჟი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბინინა. 7—7 საათ. ქალისა და სამებიო ავადმყოფობისა.
ვ. ი. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ხ. ტ. აკავიანაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაც», აუცილ ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი ქ. გძელიშვილი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.
წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

რატომ იაპონიის ფლოტი პორტ-არტურს არ უახლოვდება?—სათარგიო ჯარის მოკრება ცემბირში.—მეფე ედუარდის სურვილი.—რამდენს ხანს გაგრძელდება ომი.—წერილი ამბები.

რატომ იაპონელების ფლოტი არ უახლოვდება პორტ-არტურს და შორიდგან უშენს ყუმბარებს?

ამის პასუხს გაზეთი «დ. ჭრ.» იძლევა: უკანასკნელად იაპონიის ფლოტი რომ თავს დაესხა პორტ-არტურს, რუსები ზარბაზნებს მხოლოდ წამლითა სტენავდნენ და არა ტყვიებით, რომ იაპონელებს არ ეგვნონ, ვითომც შორს არ მიდის რუსების ზარბაზნების ტყვიაო, და ამით ახლო უნდათ მოატყუილონო, რადგან ნავთსადგური ნამდვილის მინებით არის გარემოცულიო. მაგრამ იაპონელები მიუხედნენ ამ ხერხს და იმიტომ ახლოს არ ეკარებიანო.

«ნ. ვრ.» ამბობს: ნეტა ვინ უფრო სულელია, ამ ცნობის ავტორი, თუ იაპონიის სარდლებიო?

ინკოუს ნავთსადგურში ნამდვილი მინები ყოფილა ჩაყრილი. ამერიკისა და ინგლისის გემებს რომ უნდათ შესვლა ნავთსადგურში, რუსების გემები გაუძღვებიან და ისე შეჰყავთ. («ნ. ვ.»).

უცხოელთა გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა, რომ სათადარიგო ჯარის-კაცები ბლაგოვეშჩენსკიდგან ციციკარში საჩქაროდ გაჰგზავნესო. 500 ვერსი 11 ღღეში გაუვლიათ, თუმცა გზა უსწორ-მასწოროა. ხინგანის მთაზე 35 გრადუსი ყინვა ყოფილა. სამხრეთით ცოტა თბილოდა, მაგრამ ცივს ქარს დაუბერავია და საშინელი ყინვები დაუტკერა. მაინც ყველა მშვიდობიანად მისულა დანიშნულ ადგილას, არც ერთი კაცი ავად არ გამხდარა, მაგრამ ზოგს ცხვირი და ლოყები დაშავებია.

მანჯურიელები ბიხას აძლევდნენ ჯარის-კაცებს და კარგად ეპყრობოდნენ. ეს გაჩქარებული მოგზაურობა ამტკიცებს, რომდენად ამტანია რუსის ჯარის-კაცი. («ნ. ვ.»).

ლონდონიდგან ატყობინებენ «რ. ვ.»-ს, ინგლისის მეფეს ედუარდ VII უთქვამს: დიდად სამწუხაროა, რომ ომი ატყდა, ინგლის-საფრანგეთის თანხმობა სწორედ ეხლაა საჭირო საერთო მშვიდობიანობისათვის. თუ რომ საერთაშორისო დამოკიდებულება გაჭრეადა, ინგლის-საფრანგეთის მორიგებამ თავისი ძალა არ უნდა დაჰკარგოსო; იმედი მაქვს, ინგლისის მოწერილობა დამოკიდებულებას-კი არ გაამწვავებს, არამედ მშვიდობიანობის მომხრე იქმნებაო.

გაზეთ «ტანა»-ის კორესპონდენტს უბაასნია ერთ რუსის გენერალთან შესახებ იმისა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება რუსეთ-იაპონიის ომი.

ომი კარგა ხანს გასტანს,—უთქვამს რუსის გენერალს,—თუ რომ იაპონელებს დიდი რამ შეცდომა არ მოუვიდეთო.

იაპონელების ეშმაკობის შესახებ გენერალს უთქვამს:

ნახევრად განათლებულნი იაპონელები ძალიან გაიძვერები არიან, არამც თუ ომის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც. ამით, რასაკვირველია, რუსებს ბევრად სჯობიანო.

ამ შემთხვევაში დიდს სამსახურს უწევს ინგლისის მწერლობა, რომელიც თავის ფურცლებით იაპონელების ჭკუა-მახვილობას ხელს უწყობს. მწერლობა გულმოდგინედ ავრცელებს ყოველ იაპონელებისაგან მოგონილ ამბავს, რომ რუსები შეაცდინონ. სწორედ ამ აზრით, იაპონელების ფლოტი პორტ-არტურსა და სხვა სიმაგრეებს შორიდგან უშენს ყუმბარას და ჰფიქრობს, რომ რუსები განზრახვას ვერ მიუხვდებიან და მდინარე იალუს ყურადღებას აღარ მიაქცევსო. უეშიოდ იაპონელები ჩუმი ხალხია და ეხლა-კი ჰყვირიან, პორტ-არტური უნდა ავიღოთო. იქნება მოეხერხებინათ მოულოდნელად აღება პორტ-არტურისა, მაგრამ,

როდესაც ეს განზრახვა გამოცხადდა, ეხლა იმედი დაკარგული უნდა ჰქონდეთ».

—

იაპონიის იმპერატორის შვილი, პრინცი არიტუკავა, საომარ ველზედ წასული და ომში მონაწილეობას მიიღებს. («რ. ვ.»).

—

«ტაიმსს» ტოკიოდგან ატყობინებენ: იაპონიის ესადრამ დაიჭირა კუნძული ჰაიადაუ, ელიოტის კუნძულთაგანი, კორეის სრუტეში. იაპონელებმა იქ იპოვეს მხოლოდ ქვა-ნახშირის საწყობი, რომელიც რუსებს დაეტოვებინათ. რუსის მეზღვაურებმა ეს კუნძული 10 თებერვალს (ახ. სტილით) მიატოვესო. (იქვე).

—

იაპონიის ინჟინერები ირწმუნებიან, რომ ჰხიენიანამდე რკინის გზას სექტემბრამდე დასრულებენ. (იქვე).

—

გაზ. «ნ. ი. ჰერალდი» იუწყება: იაპონიის გემი «კოსსია», რომელიც დაჭერილთა საჯაფმყოფოდ გადაუცვლიათ, ჩემულპოს მისულა. ზედ გემზედ ამართულია დიდი წითელი ჯვარი. (იქვე).

—

«ბერლინერ ტაგებლატს» თავისი სამხედრო თანამშრომელი, პოლკოვნიკი გეტკე, გაუგზავნია პეტერბურგში, რომელსაც შეუსწავლია რუსეთ-იაპონიის ომის გეგმა და იმ აზრს დასდგომია, რომ იაპონია ვერ გაბედავს ერთს ომში სკაფოს მთლად თავისი ძალ-ღონე და ერთბაშად გადასწყვეტის თავისი ბედ-იღბალი. პირ იქით, იაპონიის ინტერესი მოითხოვს, ომი გაჭიანუროს და დაიცვას ის იდგილები, რომლებიც დაჭერილი აქვს კორეაში. რა თქმა უნდა, იაპონია ვერა-კი იფიქრებს რუსეთის დამარცხებას, მაგრამ მეღვრად დაიცავს ყველ ფეხის დადგმა მიწას კორეაში, ეცდება მოჰპოლოს თვისი მოპირდაპირე და სხვა სახელმწიფოთა ჩარევის შიშით, სასარგებლო ზავი აკისრებინოსო. (იქვე).

ტ ფ ი ლ ი ს ი

*** დასრულდა მუშაობა იმ კომისიისა, რომელიც მოწვეული იყო ტფილისში მოაგარ-მპრობლის მიერ საკვლეხო კანონების გადასინჯვა-დაერებლად და ახლის შესადგენად. შემუშავებული პროექტი კანონების წარდგინება მთავარ-მართებელს. მოწვეულნი წევრნი ამ დღეებში დაბრუნდებიან თავ-თავიანთ ბინაზე.

*** დღეს, საინის საკრებულო ტაძარში, მისი ეოფლად უსამდვდელესობის, სჯაროვნოდის ეპისკოპოსის ალექსი, ბანაშიდან გადასვლის დეთად განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად.

*** ეკსპრომიის მკვდრებელთა კუნძი მოკლე ხანში სასულიერო კონცერტს გაჰმართავს. მთელი შემოსავალი რუსეთის ფლოტის გასაძლიერებლად გადადება.

*** ხვალიდგან სამკურნალო საზოგადოება შეუდგება ქალაქის სასინათლებლად გამოფენის მოწყობას. ერთი ნაწილი კოლექციებისა მიადგილ ჰეტერბურგიდან, შეორე ნაწილიც ხვალ მოვიდის.

რ უ ს ე თ ი

ცარიცინში ერთს დედაკაცს გაბზარული ქოთანი გადმოუდგია ქუაში და დამტვრეულა. სამი გლეხი თურმე იქვე მიდიოდა და ქოთანი რომ დაუნახავთ, დაუყვირნია: „იაპონელებს ყუმბარა აგდებიათო“. შეკრებილა აუარებელი ხალხი და დაუწყიათ იაპონელების ლანძღვა,—როგორ გაბედეს და ცარიცინში ყუმბარა აგდებქსო; აქ სადღაც ზარბაზნებიც ეწნებათო. მერე მოსულა პოლიცია და ბრბო გაუფანტავს. ამრიგად, გატეხილი ქოთანი ბრბომ «ყუმბარებად» მიიღო და იაპონელებს დაბრალია მისი აფეთქება, როდესაც იაპონელთაგანი ერთიც არ არის ცარიცინში. («ც. ლ.»).

— ტობოლის გუბერნიის ქალ. სურგუთში არც ერთი ექიმი აღარ არის,—ყველანი სამხედრო სამსახურში გაუწვევიათ. ერთად-ერთი ექიმი ყოფილა ქალაქში, რომელიც სამხრო ექიმის თანამდებობასაც ასრულებდა, და ისიც კი გაუწვევიათ. («ცის. ფ.»).

— ტომაშოვში ბავშვებს, 3 წლიდან 17 წლამდე, სიფამო გაუმართავთ. მთელი შემოსავალი—50 მანეთი, წითელის ჯვრის საზოგადოებისათვის გადაუცია. («ნოვოსტი»).

დ ე პ ე შ ა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 თებერვალი.

პეტერბურგი. მეფის მოადგილემ, გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა, გამოჰგზავნა დაწერილებითი მოხსენება, თუ იაპონელებმა 11 თებერვალს როგორ მიიტანეს იერიში «რეტვიზანზე» და როგორ დაესხნენ თავს იმათი კრეისერები ნაღმოსნებს «ბეზშტრაშნის» და «ვნუშიტელნის» 12 თებერვალს. რადგანაც მოხსენება ორი ათასს სიტყვას აღემატება და ახალს არაფერს შეიცავს, ამიტომ დეპეშით არ აქვეყნებენ, რადგანაც ტელეგრაფს ისედაც ბევრი საქმე აქვს.

ბელგრადი. როდესაც სკუპშჩინაში ბიუჯეტზე იყო ლაპარაკი, ფინანსთა მინისტრმა სთქვა, ბიუჯეტში სამი მილიონი მეტია შეტანილი იმიტომ, რომ ეს გამოიწვია გარეშე პოლიტიკის აწინდელმა მდგომარეობამო.

სტამბოლი. ხილმი ფაშამ სამოქალაქო აგენტებთან ერთად შეიმუშავა დებულება, რომ მაკედონელი ლტოლვილნი დაასიანეონ მაკედონიის სამს ვილაიეტსა და ადრიანოპოლში.

ნიგასაკი. («რეიტერის სააგენტოა»). გემი «ისიდენი» შანჰაის მიდის; სხვათა შორის, მიჰყავს 200 რუსთა მეზღვაურნი იმ გემებისა, რომელნიც იაპონელებმა დაიჭირეს.

ვაშინგტონი. («რეიტერის სააგენტოა»). რუსეთის ელჩი გეი ნახა და მადლობა გამოუცხადა რუზველტის განკაცგულების გამო, რომელიც საბუთია შეერთებულ შტატების გულწრფელის სურვილისა დაიცვას ნეიტრალიტეტი.

ახალი ბ ძარა. ოთხის ნახევარ საათზე შვიდი კილასიერად ჩაქმული და თოფებითა და ხანჯლებით შეიარაღებული ავაზაკი დაეცნენ რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილებას. დაჭრილია ორი დირექტორი და თარჯიმანი. ავაზაკები დაიმალნენ, წაღებით ვერაფერი ვერ წაიღეს.

ვაშინგტონი. («რეიტერის სააგენტოა»). მინისტრთა საბჭომ მსჯელობა იქონია გაზეთებისაგან გავრცელებულ ხმების შესახებ, ვითომ ამერიკის საკანონერო ნავის «ველენის» კაპიტანმა სოციმა აღძრა ლაპარაკი იმის წინააღმდეგ, რომ რუსებმა ნავთ-სადგურ ნიუჩუანის შესავლელი რამდენიმე გემები დაეღუპნო. მთავრობას ამის შესახებ არავითარიმე ცნობა არ მიუღია, მაგრამ სამინისტრომ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ თუ სოციერ მართლა ასე მოიქცა, მაშინ ის ღირსია შემწყობისაო.

ბლაგოვეშჩენსკი. 229 იაპონელნი, რომელნიც ბლაგოვეშჩენსკში სცხოვრობდნენ, ციციკარს გაემგზავრნენ. მათ გააცილეს ერთის ოფიცრისა და 20 ჯარის-კაცისაგან შემდგარი რაზმი.

კიპი. პირველ მარტოდგან კიევის სამაზრო სამხედრო საკრებულოს სამმართველოში მიიღებენ თავისუფალ მეომრებს შორეულს აღმოსავლეთში გასაგზავნად. ქვეითებისათვის არის 216 თავისუფალი ადგილი, არტილერიაში—60 და კავალერიაში—30. მიიღებენ აგრეთვე სათადარიგო და 1-ლის რიგის მეომრებს.

სეული. («რეიტ. სააგენტოა»). კასნთან შებრძოლება მოუხდათ მოწინავე ცხენოსანთა რაზმებს. იაპონელებს ერთი მოუკლეს.

ჟუდენი. რადგანაც სხვა-და-სხვა ცნობებია გავრცელებული იმის გამო, თუ რომელ ადგილზედ გადასხმენ იაპონელები ჯარებს და სად განიზრახავენ ბრძოლას შემდეგში, ევროპის რუსეთიდგან მოსული სამხედრო კორპუსი გაჩერეს ხარბინში. რადგანაც სუსხი ყინვებია, ძლივ გაჰორდა ამოდენა ჯარის სადგომებში დაბინავება.

პეტერბურგი. 28 თებერვალს გაემგზავრა მანჯურიის მხედრობის სარდალი, გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი ბრძოლის ველისაკენ. გენერალი გააცილეს დიდმა მთავრებმა.

29 თებერვალი.

პეტერბურგი. დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის ჟილინსკისა, 28 თებერვლის თარიღით გამოგზავნილი: «კორეის გაზეთების ცნობით, ცინამპოს გადმოუსხამთ იაპონელებს 18,000 ჯარის-კაცი, რომელნიც პენიანისკენ მიემართებიან. 500-მდე იაპონელი გადმოსხეს კენგშენს; შენჯენში, ჩრდილოეთ კორეაში, მოსულა 2,000 იაპონელნი მიდიან მდინარის ნაპირების გაყოლებაზედ, აგრეთვე კენგშენშიაც, მაგრამ ამ 2,500 კაცის შესახებ ცნობას უარჰყოფენ დასახელებულ ადგილებიდგან მოსულნი კორეელნი.— პორტ არტურსა და ვლადივოსტოკში სიწყნარეა. არსად მანჯურიაში იაპონიის ჯარი არ არის. ჩრდილოეთ კორეაში აღმოჩნდა ჯერჯერობით მხოლოდ რიცხვი მცირე მზვერავები მტრისა».

ბეილინი. როგორც სარწმუნო წყაროებიდგან ირწმუნებიან, კორეაში მხოლოდ სამი დივიზია გადაუსხამთ. ჯარის გადაყვანა იაპონელებსაც უჭირთ.

ლონდონი. გაზეთები ჰკვირობენ რუსეთის ფლოტის ღირსებას, რომ მედგარს წინააღმდეგობას უწევს მტერს.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტოა»). სამინისტროს სხდომა ჰქონდა; გადასწყვიტეს, საზოგადო სამუშაოსათვის გადადებული 50.000,000 იენი ომის საჭიროებას მოახმარონ და აგრეთვე შემოიღონ სამხედრო გარდასახადი, რომლითაც შეგროვდება 70.000.000 იენი.

სოფია. (ოპოზიციის მომხრეთაგან). ბულგარიის სინოდს მოსდის ყველა ეპარქიებისაგან შემოუწირულებანი რუს დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ.

ნიუ-იორკი. იაპონიის წარმომადგენლის უტაქტო საქციელი აძლიერებს რუსეთისადმი თანაგრძნობას.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უკმეწყალესად უბოძა დროშები, მე-33, მე-34, მე-35 და მე-36 აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა პოლკებს.

ხაბაროვსკი. გაზ. «პრიამურსკი ვედომოსტ.» ის რედაქციაში მივიდა 50 კორეელი, რომელნიც ხაბაროვსკსა და მისს მიდამოებში სცხოვრობენ (სამი მათგანი რუსეთის ქვეშევრდომია და დანარჩენნი—კორეისა), და გამოუცხადეს თავიანთი მადლობა რუსეთის კეთილად მოპყრობისთვის. ამასთანავე სთხოვეს მიეღოთ შეწირულება რუს დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ. თითოეულმა შესწირა 1 მანეთიდგან—10 მანათამდე.

მოსკოვი. 29 თებერვალს, დილის 8 საათზედ, მოვიდა გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სავანგაო მატარებლით და წავიდა ტროიცე-სერგიევის ლავრაში; კუროპატკინს მოჰყვნენ უკანვეწაშუადღევის 2 საათზედ.

პორტ-არტური. (საკუთარის კორეს-პონდენტისაგან). 25 თებერვალს საღამოზედ შევიტყეთ, რომ პორტ-არტურის და ტალიენვანის მახლობლად იმყოფებოდნენ მტრის გემები. ამიტომ იმ დღისვე გაზხანილი იქმნა რამდენიმე ნაღმოსანი გემი 1-ლ ხარისხის კაპიტანის მატუსევიჩის უფროსობით. განთიადისას შეხედნენ მტრის ნაღმიანს გემებს, შეეკრნენ თავგანწირული ბრძოლა. ნაღმოსანმა გემმა «ვლასტნიმ», რომელსაც უფროსობდა ლეიტენანტი კარცევი, ააფეთქა ნაღმით იაპონიის ნაღმოსანი და წყალში ჩაღუპა. ჩვენი ზარალი—ს ქმხეკად დაიჭრა კაპიტანი მატუსევიჩი, მიჩმანი ალექსანდროვი და მექანიკოსი ბლინოვი, მძიმედ დაიჭრა მიჩმანი ზაევი, მდაბიო ჯარის კაცი 2 იქმნა მოკლული და 12 დაიჭრა. 26 თებერვალს დილით იაპონიის ფლოტი—13 დიდი გემი ექცნენ ნაღმიანი გაჩნდა პორტ-არტურის წინ. ორი ჩვენი ნაღმიანი გემი «სტერეგუშჩი» და «რეშიტელნი» უკან დარჩნენ და თავ განწირულებით შეებრძოლნენ მტერს. ბრძოლამ ორს საათს გასტანა. «სტერეგუშჩის» გარს შემორტყა მტერი და ჩალუპა ზღაში, რადგან გვერდები შეუნგრია. «რეშიტელნიმ» გამოარღვია მტერი და შემოვიდა პორტ-არტურის ნავთ-სადგურში. დაჭრილი ამ გემზედ სულ ორი იყო. რა ბედი ეწია «სტერეგუშჩის» ეკიპაჟს არ იციან. 27 თებერვალს ჩვენი ესადრა ზღაზედ დადიოდა, მაგრამ მტერი არ აღმოუჩენია.

28 თებერვალს მიწას მიაბარეს ყუმბარების ოთხი მსვრპლი—ქ ნი ფრანკისა, კერძო ვექილი სიდორსკი და ორი მექანიკოსი მიწის ამომდებთა გუნდისა, რომელნიც «რეტვიზანზედ» მუშაობდნენ.

ბეილინი. კორეაში აქამდე გადასხეს სამი დივიზია; ეს არის იაპონიის პირველი მოწინავე ჯარი, რომელსაც უფროსობს გენერალი კუროკა.

სეული. იაპონელი გენერალი კიგოში ჯარებს კიდევ თავს უყრის პუნიანთან, და მოუცდის რუსების თავდასხმას.

კელნი. ჩინეთის წყაროებიდგან ცნობები მიიღეს, რომ იაპონელები გადაივლენ დადუნგოუსთან და დაიპირეს ძირითად ჯარს და ანდუნიო.

დროებითი რედაქტორი ბრ. უ ო შ ი ძ ე.
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

პეტერბურგის ბირჟა
27 თებერვალი 1904 წ.
ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიზში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,27½
პარიზში „	37,62½
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელწიფო რენტა	93⅛ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამული ბანკისა	90½ ნ. გ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	354 წყრ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	311 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	250½ წყრ. გ.-ყ.
5% ობლიგაც. ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სადგ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.
15 ოქტომბრიდან 1903 წ.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მადის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ალექსანდ: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2 საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) დამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) დამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) დამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: დამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარგვეთიდან:

ზოკანისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) დამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს ი ს
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მთას უმადლესობის შრომენ ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული ბინძურობის კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ეძებულობს.

ვასი დღე-დამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან
ახალი გამოცემა «წერა-კითხვის სახელმძღვანელისა»
გულიშვირის მოგზაურობა
სვეტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ჭაჭანა

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს

გ ა მ ო ც ე მ ა.

გრიგოლ ორბელიანის ლექსები სურათით	20 კ.
წმინდა გიორგის რაზმი	5 „
სამეგრელოს სერიოზული სკოლები ლიტერატურ	5 „

ჩვენი გამოცემანი.

სიმღერა აკაკისა	15 „
თამარ მეფე	5 „
ვაჟკაცური ჭაშა	5 „
დავუშვა გოციძიანე და როსტომ ერისთავი ძველებური ამბავი აკაკისა	5 „
პატარა ჩონგური ლექსები (დედა-ენა)	5 „
ოქროშა (ხალხური ზღაპარი)	5 „
ორი ქოსატყვილა ბიძია მენახვირე ხალხური ზღაპარი	
მეფე და კაცია	10„
აბრამის და იოზის ლექსი	3„
სურათი თამარ მეფისა	5„
კოლტერა ლიპარიტისა	50„
ლექსიკონი რუსულ ქართული მინერალოგ. ასტრონომ. ზოოლოგ. და ტეხნ. სიტყვებისა. კ. ყიფიანისა	50 „

აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას პირ ნაკლებ **ორი მანეთისა** დაუყონებლივ გაეგზავნება ფას-დადებით.

ადრესი ფოსტის.: Тифлисъ. книжный магазинъ «ЦОДНА»
მაღაზიის შატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნ ა დ ე ჟ დ ა“

ღვთ, მდინარით და ხმელეთით გაგზავ ილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათ-ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

მარაოდა თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.808 მან.

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა სჭირდებოდეს, რომელიც გასაგზავნად როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არიან.

ბ) დაზღვევა ტვირთისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ნივთისაგან გზაში ნაყოფ ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა გაჯახებისა და გაჯან-ცვილებისა.

დ) დაზღვევა ავეჯისა, რომელიც გადასტანა ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო სიფოსტო კავშირის უკლებ ადგილს.

დაზღვევის კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი უველგან. სტრახოვოის საააგენტოს კარდა, ტფილისისაგან დაზღვევის ოფერატორს ეწორმოების 350-ზედ მეტი განსაუთრებით ტფილისისაგან დაზღვევის სააგენტონი.

განცხადება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდასი**—ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და წერშეუნებულნი: სახლვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ხაშურ ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა ოჯახის ზნეობრივის სახლშია, კანონის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—5.—19)

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 февраля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семинарiи